კვირა 31 მაისი 1915 წ.

# სამშობლო

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ტექსტის წინ 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 ს ა ა თ ს შ ე მ დ ე გ 4 მან.

№ 92 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 92

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

კნ. ცაცანო ნიკოლოზის ასული ერისთავისა კნ. ოლია ვარლამის ასული ერისთავისა და თავადი მახაკო ვარლამის ძე ერისთავი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 26 ამა მაისს—პირველი დაუვიწყარი მეუღლისა და მეორენი ძვირფასის მამისა

### თავადის ვარლამ მიხეილის ძის ერისთავისა.

პანაშვიდი ყოველ დღე სალამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე კაზაკოვის ქუჩაზე, ანანიაშვილის სახლში; გამოსვენება ბინიდან საფირჩხიის სასაფლაოზე დასაკრძალავად კვირას, 31 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე. 4—3—226.

მწუხარებით გულმოკლულნი ქვრისუფალნი მამა ბესარიონ გაბრიელის ძე ზვიადაძე, ბებია ელისაბედ სიმონის ასული ძაგნიძისა, ბიძები: მიხეილ, ალექსანდრე, სოლომონ, პლატონ და პეტრე კონსტანტინეს ძენი ძაგნიძეები ცოლშვილით და დეიდა ნატალია კონსტანტინეს ასული ვოლფრამისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ დაკარგვას, ქუთაისის გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფის

### ნინა ბესარიონ ზვიადაძის ასულისას,

რომლის გამოსვენება დანიშნულია 31 მაისს, დღით კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე, ძველი თბილისის ქუჩაზე, პირველ შესახვევში, მელქაძის სახლში. დაკრძალვა სოფელ ბანოჯაში. 1—236—1.

ელექტრო თეატრი „რ ა დ ი უ მ ი“

საზაფხულო შენობა.

ორშაბათიდან, 1 ივნისიდან, ნაჩვენები იქნება
„ნორდისკის სერიის“ საუცხოვო სურათი:

## მსხვერპლი ბედნიერებაა.

დრამა ორ ნაწილ. ააგე ხერტელის და კომპ. სამეფო თეატრის საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

**მისი ბიძაშვილი**, კომიკური სურათი ორ ნაწილათ.

პროგრამის გარეშე:

„რადიუმის“ მონოპოლია! ქუთაისში წარმოდგენის ნება მხოლოდ „რადიუმს“ აქვს.
მ. ი. უ. მფარველობის ქვეშ მყოფი სკობელევის კომიტეტის გამოცემის სურათი.

## პერემიშლის აღება და დაცემა.

ორ ნაწილათ. სურათები აღებულია პერემიშლის აღების დღეს.

გაბრიელ იოსების ძე
**ექიმი გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის
**კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი**
ამ ზაფხულს რჩება ქუთაისში და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ძველ ბინაზე დანიშნულ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, საკუთარი სახლი 11—1

**ექიმი** ე. ტ. მულინი გადმოვიდა ქუთაისში თფილისის ქუჩაზე ჩიკვაიძის სახლებში. ღებულობს ყელისა, ცხვირისა და ყურებით ავათმყოფებს. დღით 2—3, საღ. 7—8. თ.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

**დოქტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან სალამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

კბილის ექიმები
**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.**
ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 8—2 და სალამოს 5—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

**ექიმი** რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე. ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 საათამდი.

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის მძ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

## ა ბ ა ნ ო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდგან მატარებელი გადის დილის შვიდის ნახევარზე, დაბრუნდება სალამობით. თ.

## ქირავდება

**ოთხი თვალი ოთახი** მეორე სართულში, კარლოვის დასაშვებში, რეალურ სასწავლებლის მახლობლად თავისი მოწყობილობით; მიმართვა შეიძლება მაფათა რიჟინაშვილის სავაჭროში, ვორონცოვის ქუჩაზე. 4—1—237.

## ო მ ი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 29 მაისი. ოფიციალური მთავარ სარდლის შტაბისაგან. 28 ამ თვის ღამით და შემდეგ დღესაც გერმანელები სასტიკი იერიშით მოვიდენ შავლეზე დასავლეთიდან სოფ. კუჟის- რაკიევოს ტბის და სოფ. ეინორალცის რაიონში. ზოგიერთ ადგილებზე მათ ჩვენ მავთულებიან ხაზამდე მოაღწიეს, მაგრამ ყოველთვის გავფანტეთ ხოლმე. ჩვენი სანგრების წინ მტერი სტოვებდა მოკლულთა და დაჭრილთა ხროვას. შავლის ჩრდილო რაიონში მტრის რაზმმა, განსაკუთრებით ცხენოსანმა რაზმმა, შაკინოვოს დასავლეთით ოდნავ წინ წაიწია. დუბისის მარცხენა ნაპირზე შავლიან-დებეტიგოლიდან ჩვენ შეტევის გზას დავადექით და 28-ს დილით სახეირო შედეგს მივაღწიეთ. ღამით ჩვენ წამოვიყვანეთ 500 ტყვე, ვიხელთეთ ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელები, მტერი უშედეგოთ ესროდა ოსოვეცის ციხეს, გალიციაში 27-სა და 28-ს მტერს უშედეგოთ მოქონდა იერიშები მოსცისკის რაიონში. დნესტრის მარჯვენა ნაპირზე ჩვენ მტერს ვავიწროვებთ მდ. ტისმენიცისა და სვიკის მთელ ფრონტზე. ამ რაიონში ჩვენ მრავალი ტყვე წამოვიყვანეთ, ვიხელთეთ ტყვიის მტყორცნელები და სხვა სურსათი, რომელიც ჯერ კიდევ არ დაგვითვლია. ამ ფრონტზე თავის უკან დახევის დასაფარავათ მტერმა სტრიი-მიკოლაევის მიმართულებით ჯავშნოსანი მატარებელი და ხუთი ჯავშნოსანი ავტომობილი გამოუშვა, ჩვენი არტილერიის მარჯვე მოქმედებით მატარებელი და ავტომობილები იძულებული გახდენ უკან გაბრუნებულიყვნენ.

ჩვენი ქვეითა ჯარი გარს შემოერტყა და ტყვეთ წამოიყვანა ავსტრიის 79 პოლკის მეხუთე როტა. დნესტრის მარცხენა ნაპირზე გოლეშოვ-ბოკოსოვცის ფრონტზე 28-ს ცხარე ბრძოლა დაიწყო სოფ. გოლეშოვ-ლაპშინ, ნოვოშინ, ვიშნიუკთან. როგორც ვიუწყებოდით აქ მტერი დამარცხდა და დნესტრის იქით გადავიდა. განსაკუთრებით მეტათ დაზარალდა მტერი სოფ. ვიშნიუკთან. ჩვენ ვიხელთეთ ათი ზარბაზანი, 18 ტყვიის მტყორცნელი და წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე, მტრის იერიშები გალიჩთან მოვიგერიეთ; გალიჩის ზემოთ დნესტრის ხაზზე ჩვენი ჯარის გაშლა-დაწყობამ გამოიწვია ჩვენი ჯარის ფრონტის შეცვლა, რომელსაც მდ. პრუტის ხაზი ეკავა. ამ ოპერაციის დროს ჩვენმა ჯარმა სტანისლავოვის აღმოსავლეთით, რომელიც ჩვენ უბრძოლველათ დავსტოვეთ, პოდლუჟესთან მოიგერა გერმანელების იერიში. ოტინეს სამხრეთით კი ჩვენ 27-ს ტყვეთ წამოვიყვანეთ 1100 კაცი.

### კავკასიის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 29 მაისი. ოფიცილური კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ზღვის პირის გზით სროლა განახლდა. ოლთისის გზით ჩვენმა ჯარმა ოსმალონი შეავიწროვა არკინს-აშმეშენის რაიონში და სერვი-ჩაის ხეობაში, ვანის რაიონში ჩვენ ჯარს დანებდენ ქურთები, რომელნიც ხალილ-ბეის ჯართან მოქმედებდენ.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 28. ნოდრდამ დე-ლორეტის რაიონში მთელი ღამე არტილერიის სასტიკი ბრძოლა იყო. სუშეს შაქრის ქარხანასთან ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიში. გერმანელები ესროდენ ნევილ სენვასტს, მაგრამ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას არ სცდილობდენ. ლაბირინტში ჩვენ დავიკავეთ ახალი ადგილი, ებიუტერნის რაიონში ჩვენ შევინარჩუნეთ მთელი ტერიტორია 1800 მეტრის ფრონტზე.

**პარიზი.** 28. არასის სექტორში არტილერიის ბრძოლა გრძელდება, თუმცა ამას ნისლი ხელს უშლის, დამატებით გამოირკვა, რომ ნევილსნვასტის, აღების დროს ქვეითა ჯარს უხდებოდა თითო სახლის აღება. გერმანელებმა უკან დაიხიეს და მრავალი სამხედრო სურსათი დასტოვეს, ვიხელთეთ რამდენიმე ზარბაზანი და ტყვიის მტყორცნელი, სახლებში, სანგრებში და სარდაფებში ვნახეთ ათასამდე გვამი. ებიუტერნში მტერს წავართვით 6 ტყვიის მტყორცნელი. შამპანში ბოსეჟურთან მტრის ბათალიონმა იერიში მოიტანა, იერიში მოვიგერეთ. მტერმა ბევრი მოკლული დასტოვა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ეპარჟთან არტილერიის სროლაა. ჩვენ ჩავაჩუმეთ მტრის ბატარეიები.

### იტალიის ასპარეზი.

**რომი.** 29. მთავარ ბინის ცნობა, ტიროლ-ტრენტინოს საზღვრებზე პოტესანიოს დაკავების გარდა ცვლილება არ მომხდარა. 25,26 და 27 კარნიის სალვარზე პრაიკოფელის მაღლობთან ბრძოლაში ავსტრიელებმა დაკარგეს 200 მოკლული, 400 დაჭრილი და 220 ტყვე.

ავსტრიელებმა აქ იერიშები განაახლეს, რადგან ამ პოზიციას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ოზონცოზე ჩვენ ვცდილობთ მტრის გატეხას დაკავებულ ქალ. მონფალკონის გარშემო მაღლობები ახლა ჩვენ ხელთაა.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**ლონდონი.** 28. ინდოეთის საქმეთა სტატს სეკრეტარმა გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობა ამარის აღების შესახებ. 18-სა და 19-ს მეტრი, რომელიც კურნახს ემუქრებოდა, შედრკა და წინააღმდეგობას ველარ უწევდა ჩვენ რაზმს, რომელიც მტერს მდინარის ნაპირისკენ სდევნიდა. ოსმალონი შეეცადენ გემებით გაქცევას, ბრიტანიის ჯარი მათ წამოეწია და ისინიც დანებდენ. ბრიტანიის მცირე რაზმს ამარაში დანებდა ათასი კაცისაგან შემდგარი ქალაქის გარნიზონი. ქალაქის დაცემის შემდეგ ინდუსთა პოლკის მოწინავე რაზმი ქალაქში შევიდა.

**სოფია.** 28. სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალოთა ზარალი დარდანელში ტყვეების გარდა უდრის 100000 კაცს. სამი კორპუსი თითქმის ერთიანათ მოისპო. სამხედრო სურსათისა და ტყვიის მტყორცნელთა ნაკლებობაა. ოსმალონი უხალისოთ გადიან საბრძოლველათ. ოსმალოთა და გერმანელთა შორის მდგომარეობა გამწვავდა. ოსმალოთა ბრბომ ადრიანოპოლის ახლოს გაანადგურა ხუთი სოფელი.

**ათინა.** 28. კალიმნოსში მოკავშირეთა ფლოტმა დააკავა 1550 ყუთი და 96 ბოჭკა ბენზინი, რომელიც პირეიდან სალონიკში მიქონდათ გერმანიის წყალქვეშა ნავებისთვის. ოსმალოთა ფლოტი ინგლისის წყალქვეშა ნავების თავდაცემის ასაშორებლათ, ბოსფორში იყრის თავს.

**ათინა.** 28. ქვანახშირის უქონლობის გამო სტამბოლში გაზის ქარხნებმა წარმოება შეაჩერეს.

### ინგლისის ნაღმოსნების ჩაძირვა.

**ლონდონი.** 28. საადმირალო იუწყება, რომ აღმოსავლეთის სანაპიროებთან ოპერაციების დროს ჩაიძირა ნაღმოსნები 10 და 12. ნაღმოსნები გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა გადარჩა კომანდის 41 კაცი.

### გერმანიის წყალქვეშა ნავები ბოსფორში.

**სოლუნი.** 27 მაისი. (დაგვიანებულია), მიტინელიდან იუწყებიან, რომ ხმელთაშუა და ეგეის ზღვათა გერმანიის წყალქვეშა ფლოტილიამ გაიარა დარდანელი და ბოსფორში მივიდა. ოსმალებმა ჩაყარეს ნაღმები ენგელისი-სმირნის და ვურლის პორტს შუა. მოკავშირეებმა კუნძულ გუნიზე გადმოსხეს მცირე დესანტი. ინგლისის ორი კონტრნაღმოსანი ერთი პატარა ნაღმოსანის თანხლებით შეიჭრა ზანდოსის პორტში და ოსმალოთა პოზიციებს დაუშინა. ოსმალოთა ბანაკი ძლიერ დაზიანდა. დაზიანდა ნაღმოსანიც და მოძრაობა აღარ შეეძლო. კონტრ ნაღმოსნის ეკიპაჟი გადმოსხეს და ნაღმოსანი წამოიყვანეს.

### სერბიის ასპარეზი.

**ნიში.** 28 მაისი. კრაგუევაცზე დილით მტრის სამმა ჰაეროპლანმა ყუმბარები ჩამოყარა. მოკლულია სამი და დაჭრილია ათი. სერბიის ავიატორები გამოეკიდენ მტრის ჰაეროპლანებს. მტრის ერთი ჰაე-

რომელთაგანი ავსტრიელების ბანაკთან ჩამოვარდა.

**ინგლისის გემების ჩაძირვა.**

**ლონდონი.** 29 მაისი. ტრალერი, „ტონეზია“ და „კასტორი“ ჩასძირა გერმანიის წყალქვეშა ნავმა. კომანდა გადარჩა. ჩრდილო ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ტრალერი „ველოსიტი“, კომანდა 52 საათი ნავებით ცურავდა ზღვაში.

**ბრაიანის გადადგომა.**

**ვაშინგტონი.** 28 მაისი. ლენსიგი დროებით დაინიშნა სახ. სეკრეტის თანამდებობის აღმასრულებლათ. ბრაიანმა გამოაქვეყნა განმარტება. ის ამბობს რომ ვილსონს არ ეთანხმებოდა ორ საკითხში. ბრაიანს სურდა წყალქვეშა ნავების მოქმედება განეხილა საერთაშორისო კომისიას, როგორც ეს ნაჩვენებია იმ ხელშეკრულობაში, რომელიც დადებული აქვთ შტატებს 30 სახელმწიფოსთან, თუმცა მათ რიცხვში არ არის გერმანია. ბრაიანის აზრით ამერიკელებს უფლება არა აქვთ სახელმწიფო განსაცდელში ჩააგდონ იმით, რომ ისინი მოგზაურობენ მიუხედავათ გერმანიის მხრით გაფრთხილებისა, სამხედრო ზონის წყლებში. იუწყებიან რომ მთელი კაბინეტი მომხრეა ვილსონისა, რომელსაც არბიტრაჟი შეუძლებლათ მიაჩნია, სანამ გერმანია არ შესწყვეტს სავაჭრო გემებზე თავდასხმას.

**არეულობა მოსკოვში.**

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან).

**პეტროგრადი.** 29 მაისი. მოსკოვის ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივ კრებას დაესწრენ მოსკ. მთავარმართებელი იუსუპოვი და გრადონაჩალნიკი ადრიანოვი. ქალაქის თავმა ჩელნოკოვმა კრებას მოახსენა. ხმოსანთა გადაწყვეტილება: 1) ეთხოვოს ქალ. თავს მიმართოს მოსკოვის მცხოვრებთ შესწყვიტონ არასასიამოვნო დარბევა, 2) მიმართოს ფაბრიკის მუშებს არ შესწყვიტონ ქარხნებში მუშაობა, რადგან ყოველი დაკარგული დღეს მტრისთვის ხელსაყრელია, 3) სთხოვოს მოსკოვის მთავარმართებელს ყოველი ზომა იხმაროს დარბევის მოსასპობათ, რომელნიც ყოველ წუთს იზრდებიან, საბჭომ ერთხმათ მიიღო ეს წინადადებანი. მოსკოვის მთავარ მართებელი აცხადებს: 28-ს მოსკოვის ქუჩებზე სამწუხარო ამბები მოხდა. მოძრაობა გამოწვეულია ქარხნებიდან გერმანია-ავსტრიის ქვეშევრდომთა გაძევების სურვილით. ამ მოძრაობამ საზიზღარი ფორმები მიიღო. ბრბო მინებს ლეწავდა და არბევდა იმ მაღაზიებს, რომელთა პატრონები უცხო გვარებს ატარებენ. იტაცებდენ საქონელს. ამ სამარცხვინო მოძრაობაში მონაწილეობდენ საეჭვო ხასიათის ქალები და მოზარდი ახალგაზრდები. საჭიროთ ვრაცხ მოსკოვის მცხოვრებთ ვაუწყო, რომ წესის დარღვევა რუსეთში ხელ საყრელია ჩვენი მტრისათვის, ის აძლიერებს მტრის წინააღმდეგობას და ხელს გვიშლის საბოლოო გამარჯვებისათვის. რუსებო, მოიგონეთ თქვენი დიდის სიმამაცით მებრძოლი ძმები, რომელნიც რუსეთს იცავენ ტევტონების შემოსევიდან, ხელს ნუ შეუშლით მათ, შეასრულონ მათი ხვედრი დიადი საქმე, გახსოვდეთ, რომ რუსეთის ინტერესების დამცველათ სდგას მისი იმპერ. უდიდებ. დაყენებული მთავრობა. ეს მთავრობა შესძლებს გახრწნილი ბრბოს ალაგმვას, რომელმაც მიითვისა სასამართლოს უფლება. როგორც წარმომადგენელი ამ მთავრობისა, მე შევძლებ სამშობლო ქალაქის ინტერესების დაცვას და ვაფრთხილებ ყველას, რომ ნებას არავის ვაძლევ შეერიონ ჩემს განკარგულებაში. ამასთანავე ვაუწყებ, რომ ასეთი მოძრაობის პირველ გამეორებასთანავე თუნდა ჩვენი მტრების ქვეშევრდომთა პიროვნებისა და ქონების წინააღმდეგ, მე მივიღებ სასტიკ ზომებს მათ მოსასპობათ. ამასთანავე ვაუწყებ მცხოვრებთ, რომ სასტიკათ აკრძალულია ყოველ გვარი შეკრებილება და მანიფესტაცია ქუჩებში. გენ.-ადიუტანტი გრაფი იუსუპოვი.

მოსკოვის ქალაქის თავმა მცხოვრებთ მიმართა შემდეგის სიტყვით: მოქალაქენო! მოსკოვში მომხდარმა არეულობამ, დარბევამ, ცარცვა-გლეჯამ და ცეცხლმა დაარღვია მოსკოვის მშვიდობიანობა. ეს ხელს უშლის ათასობით მწოლიარე დაჭრილ ჯარის კაცთა გამოკეთებას, მოსკოვის ქალაქის საბჭო მცხოვრებლებთან ერთსულოვნათ ხარჯავს აუარებელ ძალას დაჭრილების მოსავლელათ და ჩვენი არმიის სურსათის მისაწოდებლათ, სწამდეს მოსკოვის მცხოვრებთ, რომ მოსკოვის ქალაქის თვითმართველობა ბოლომდის შეასრულებს თავის მოვალეობას. მოსკოვი რუსეთის ხალხის გრძნობათა გამომხატველია, ის ხალხის სინიდისი და ამ სინიდისის სიწმინდეა. გუშინდელი არეულობა გაუგონარი და უნახავი ჩირქია ჩვენი სატახტო ქალაქისთვის, ის ჩვენ ძალას ასუსტებს, ყოველი დაკარგული დღე სასიამოვნოა ჩვენი მტრისათვის. ყოველი ჩვენგანი ჩაუფიქრდეს ამას. მოსკოვის თვითმართველობა სთხოვს ქალ. მოსკოვის მცხოვრებთ დაუყონებლივ შესწყვიტონ მოსკოვისთვის სამარცხვინო დარბევა. მოსკოვის ქარხნების მუშებს კი იგი სთხოვს მოიკრიფოს მთელი ძალა და მუშაობას ნუ შესწყვეტს, რადგან ყოველი დაკარგული დღე მტრის გამარჯვებას ნიშნავს. მოს. ქალ. თავი ჩელნოკოვი.

**[illegible] ზღვებიდან.**

რომიდა[illegible] ინებიან, რომ ტრიესტის უდიდე[illegible] ობები, როგორც ხმებიო, დანაღ[illegible] ია ავსტრიელების მიერ. ავსტრიელები იტალიის ჯარის შესვლისათანავე ამ შენობებს ააფეთქებენ.

**ბელგიაში.**

ბელგიის მუშებმა, რომელნიც დაბანაკებული არიან მალინის ახლოს, უარი განაცხადეს რკინის გზის შეკეთებაზე, რადგანაც ამ რკინის გზით გერმანელები სარგებლობდენ. ამის გამო, ბელგიის გერენალ გუბერნატორმა ბისინგმა ბელგიის ოთხივე რკინის გზით მიმოსვლა აკრძალა, ვიდრე მუშები მუშაობს არ დაიწყებენ, აკრძალა აგრეთვე ველოსიპედებით მიმოსვლა და დახურა პასპორტების მიმცემი ბიურო.

ანტვერპენის გაზეთების რედაქტორებმა გადასწყვიტეს განაახლონ გაზეთების გამოცემა, თუ სამხედრო ცენზურა ნებას დართავს მოიყვანონ ის წყარო, საიდანაც ესა თუ ის ცნობა აქვთ მიღებული.

**რუმინიაში.**

გერმანული ოფიციოზური გაზეთები იუწყებიან, ვითომც რუმინიასა და სამთა შეთანხმების შორის მოლაპარაკება უკვე შესწყდა. ეს ცნობა მალე უარყვეს.

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ი სასტიკათ მოითხოვს, რომ რუმინიის მთავრობამ, ვიდრე არ დაგვიანებულა, ჩააქროს ომის სასარგებლოთ გაჩაღებული აგიტაცია.

გერმანიას, რუმინიის ორპოფილ მდგომარეობის გამო, მეტი მოთმენა აღარ შეუძლიაო, სწერს გაზეთი.

**ბულგარეთი.**

რომიდან ცნობა, ბულგარეთის დიდ ძალი ჯარის მოგროვება ოსმალეთის საზღვარზე კონსტანტინეპოლში დიდ მღელვარებას იწვევსო.

**შეერთებული შტატები და გერმანია.**

„ტაიმსის“ კორესპონდენტი ვაშინგტონიდან დეპეშით იტყობინება:

გრაფმა ბერნსტორფმა ბერლინს გაგზავნა შიკრიკი, რომელიც პირადათ ინახულებს გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს და აცნობებს ბერნსტორფის შეხედულების პოლიტიკაზე. ბერნსტორფის ამგვარი ნაბიჯი ყველასათვის აშკარაა. ესაა ახალი საშუალება, ახალი კომედია საქმის გასაჭიანურებლათ, რომ ამით რაც შეიძლება გვიან შეჩერდეს საბოლოოთ გადაწყვეტილების მიღება. თვითონ ბერნსტორფი ამ გარემოებას ხსნის იმით, რომ ინგლისელების კანტროლმა ოკეანით ტელეგრამების მსვლელობაზე აიძულეს იგი მიეღო ასეთი ზომები.

ბერნსტორფის შუა-კაცი ცნობილი პირია ნიუიორკის საზოგადოებისათვის. ეს არი ექიმი მეიერ გერგარდტი, რომელიც ცხოვრობდა აქ როგორც გერმანიის „წითელი ჯვრის საზოგადოების“ წარმომადგენელი.

ამნაირათ კიდევ გაივლის ორი—სამი კვირა საბოლოო გადაწყვეტილებამდი. ამ ხნის განმავლობაში ბერნსტორფი შემოიკრებს თავის აგენტებს ამერიკაში და გააჩაღებს ახალ კამპანიას, რომ მოატყუოს შტატების საზოგადოებრივი აზრი და მთელი ქვეყანა.

ამავე დროს ზოგიერთმა გაზეთმა უკვე გაავრცელა ხმა ზავის ჩამოგდების შესახებ. ეს ხმები სულ ერთსა და იმავე წყაროებიდან არის გამოსული და ერთნაირ ფორმებში ჩამოსხმული. ეს ხმები, რასაკვირველია, უფრო ამტკიცებენ იმას, რომ გერმანიას სწყურია ზავის ჩამოგდება. ყველა ეს მახინაცია ერთი ანგარიშით არის გამოწვეული—რომ გერმანიას სურს მშვიდობიანობა და ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზღვაზე თავისუფალი მიმოსვლა ექნება, რომ სავაჭრო დამოკიდებულება იქონიოს ნეიტრალურ სახელმწიფოებთან.

აგრეთვე სასურველია, ამბობენ, ხმები, რომ მოკავშირეებმა აღიარონ გერმანიის უფლება ახალშენების გაფართოვების საქმეში და, რადგანც გერმანია დაჩაგრულ ერების გამათავისუფლებელია, მას სურს დადგინოს პოლონეთი პრუსიის მთავრობის მფარველობის ქვეშ. ამის საბადლოთ კეთილშობილი გერმანელები მზათ არიან დასტოვონ ბელგია და საფრანგეთის დაჭერილი ნაწილები.

ფრიად საყურადღებოა და ეს აქ შენიშნეს კიდეც ამბობს კორესპონდენტი, რომ ყოველთვის, როცა გერმანელები ამა თუ იმ ფრონტზე იმარჯვებენ, გაჩნდება საიდუმლო მოამბე და ავრცელებს ხმებს ზავის ჩამოგდების თაობაზე. თუმცა დადგება დრო, რომ გერმანიის ჯარი ვეღარ შესძლებს დაიცვას თავისი პოზიციები და იძულებული გახდება ფატერლანდი შუაგულისკენ დაიხიოს. გერმანიაში ეს კარგათ ესმისთ და ამიტომაცაა, რომ ცდილობენ მოატყუონ საზოგადონბრივი აზრი და ზავი ჩამოაგდონ მანამდი, სანამ ასეთი მათთვის არა სანატრელი დრო დადგებაო.

**პერემიშლის შესახებ.**

რეიტერის სააგენტოს რომიდან ატყობინებენ, რომ პერემიშლის დაკავება ავსტრო გერმანიის ჯარისაგან, რომელსაც ასე აღფრთოვანებით შეხვდენ ბერლინსა და ვენაში, აქ არავითარ მღელვარებას არ იწვევს. იტალიის სამხედრო მიმომხილველნი ამ გამარჯვებას სისწორით აფასებენ.

„ჯიორნალ დიტალია“ სწერს: პერემიშლემ სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა მას შემდეგ, რაც [illegible] ყველა მისი ფორტი განადგურებულია. [illegible] დრე ბრძოლა [illegible] სტრიას არ შეუძლია თავისი ჯარი [illegible] ზავნოს პერემიშლის სამხრეთის საზღ[illegible] ბზე. ავსტრო-გერმანიის მოქანცულ ჯა[illegible] არ შეუძლია მეტოქობა გაუწიოს ი[illegible] ლიის ზნეობრივათ ამაღლებულსა და [illegible] სვენებულ ჯარსო.

„ტრიბუნა“ აღნიშნავს: თამამად შ[illegible] ვიძლია დავემყაროთ რუსეთის ოფიცია[illegible] ლურ ცნობას, რომ რუსის ჯარმა თავისი [illegible] ნებით დასტოვა პერემიშლიო.

სამხედრო მოსაზრებით, პერემიშლეს აღებას აქ არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც მისი ფორტები დანგრეულია. პერემიშლეს დაცლა რუსის ჯარს საშუალებას მისცემს ბრძოლის ველზე ხაზი გაასწოროს და იქ გამართოს ბრძოლა, სადაც მისთვის უფრო სასარგებლო იქნება კონტრ-იერიშის მისატანათ.

**ემიგრაცია გერმანიაში.**

ვარშავიდან ცნობაა, რადგანაც მთელ პოლონეთში შიმშილობაა გამეფებული აქედან 3000 კაცამდი გერმანიისკენ გაემგზავრა სამუშევრის საძებნათ. მიდიან აგრეთვე უმუშევროთ დარჩენილი ქარხნის მუშებიც. ყველას უშოვნია სამუშევარი გერმანიაში. ზოგი მათგანი მუშაობს მინდვრებში და იღებენ დღეში ერთ მარკას. ქარხნის მუშები კი ქარხნებში მოათავსეს.

გახშირდა ემიგრაცია სოფლებიდანაც. რადგანაც გერმანიაში მუშა ხელის ნაკლებობაა, გერმანიის აგენტები დაიარებიან სოფლებში და აგიტაციას ეწევიან მცხოვრებლებში. გადასახლდენ გერმანიაში, სადაც მათ უფრო კარგ პირობებში შეუძლიათ იშოვონ სამუშაოო.

## ახალი შეერთებული შტატები.

„ძველი ქვეყნის“, ევროპის შუა გულის სახელმწიფოები „შეერთებულ—შტატებათ“ უნდა გადაიქცეს და ამნაირათ ის მსოფლიო ბაზარზე „ახალი ქვეყნის“, ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა დაუპირდაპირდეს.

აი საით მიისწრაფვის და რას გვიქადის მომავალში „მოკავშირეთა“ მიერ დაწყევლილ შეჩვენებული გერმანიის „იმპერიალიზმი“.

თუ „მოკავშირე სახელმწიფოების“ „იმპერიალიზმი“ „პატარა ერების განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ლოზუნგით გვხიბლავს ამ ომის დროს, სამაგიეროთ გერმანია-ავსტრო-უნგრეთი „შეერთებული შტატების“, შუაგულ ევროპის ერთ სახელმწიფოებრივ ასოციაციათ გარდაქმნას გვპირდება.

# მცხეთა.

დღეს მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში დაკრძალვენ ბრძოლის ველზედ გმირულად მოკლულს კონსტანტინე მუხრან-ბატონს.

დიდი აკლდამა საქართველოს მეფეებისა და კათალიკოსებისა ერთხელ კიდევ გახსნის პირს, რათა სამუდამოთ ჩაიხვიოს ერთი წარმომადგენელთაგანი ბაგრატიონთა ბრწყინვალე გვარისა.

ვისაც არ უნახავს მცხეთა—მას არ უნახავს სვეტი ცხოველი, რომლის ძირშიც დაკრძალულია კვართი ქრისტესი, მას არ უნახავს მარმარილოს წვრილ ნაკვთიანი ბალდახინი, სადაც დგებოდნენ საქართველოს მეფენი ღვთის მსახურების დროს, მას არ უნახავს ტახტი საქართველოს კათალიკოსებისა. არას ვამბობ იმ წმიდა საფლავებზედ და მათ გამცვდარ ფილაქვნებზედ, რომლებიც შეადგენენ დიდებულ წიგნის ფურცლებს ამ ტაძრისას.

მცხეთის ტაძარი თავის სიდიადით ქართულ ხუროთ მოძღვრების კოლოსად ჩაითვლება.

მაგრამ როდესაც შიგა ხართ, თქვენ მისი სიდიადე[illegible] განცვიფრებთ. ბერძენი უნდა იყოთ ძველ[illegible]ს ელადისა, თავისუფალი სარწმუნოებრივ მისტიციზმისაგან და პოლიტიკურ რომანტიზმისაგან, რომ მოიხიბლოთ მის არხიტექტურის სწორე ხაზებით, მის ქვების ჩუქურთმებით, მის კამარა შეკრულ თაღებით.

თქვენ გხიბლავთ აქ სულ სხვა რამ და ეს „სულ სხვა რამ“—წარსულია. წარსულია აქ თქვენი უფალი და ეს იმიტომ, რომ თქვენ თანამედროვე ქართველი ართ!

მცხეთის ტაძარს დიდი სარკმელები აქვს და არსად საქართველოს შავი ბედი ისე არ გამოიყურება, როგორც აქ ამ სარკმელებში.

როდესაც მზის შუქი იცქირება ამ სარკმელში და ანათებს სამეფო საფლავებს, ანათებს სამეფო ბალდახინს, კათალიკოსის ტახტს და მრავალთაგან, ან მხოლოდ ერთად შენარჩუნებულ ფრესკას—რომელსაც „ქალთა სამაია“ ჰქვიან—თქვენ გაოცებთ მდუმარება საფლავებისა, სიცარიელე ბალდახინისა და ტახტისა და ფიქრობთ:

— ნუ თუ მთელი ცხოვრება საქართველოსი იყო „სამაია“ იმ კედელზედ დახატულ ქალებისა, რომელსაც ხატავდა მხატვარის ნაზი ფერადი.

ყველა იმ ფრესკებში, რომლებიც მე მინახავს საქართველოს სხვადასხვა მონასტრებში, მცხეთის „ქალთა სამაია“ იმით არის შესანიშნავი, რომ სურათის მომქმედი პირები მხოლოდ ქალთაგან შესდგებიან. მხატვარს ისინი ლურჯი ტანისამოსით შეუმოსავს. მიდიან ჯგუფათ, მაგრამ ისე, რომ ყველას პროფილი სჩანს და ნაბიჯი მათი საოცარის ჰარმონიით არის გაერთიანებული. ფიქრობთ, რომ აი, ეს ეს არის სამუდამოთ წავლენ კედლიდან. წავლენ ისე, როგორც წავიდა ძველი საქართველო, საქართველო, რომლის ისტორიული პროფილი ისევე ნათელია ამ დიდ ტაძარში, როგორც მათი პროფილები; საქართველო, რომელიც ცოცხალი იყო მაშინ, როცა ეს სამეფო საფლავები ჯერ არ იყვნენ გათხრილნი.

—

მე მინახავს მცხეთის ტაძარი ბინდისისას, როცა უკვე გვიან იყო, როცა ტაძარი ცარიელი იყო და მოხუცმა მნათემ საკუთრივ ჩემთვის გააღო მისი დიდი კარები.

მნათე ისე მოხუცი იყო, რომ ალბათ ეხლა აღარც კია ცოცხალი. საწყალო, მნათე! ვის არ უნახავს ეს მნათეები ჩვენის ეკლესიებისა და იმავ დროს ჩიჩეროնები ჩვენის მოგზაურობისა, ჩვენის ცოდნისა.

ხელში პატარა სანთელი ეჭირა და ისე მიმიძღვებოდა ტაძარში.

მიამბობდა სისულელეს, უდიდეს ისტორიულ ამბებს, ზღაპრებს, რომელთაც ტაძრის თავგადასავალთან საერთო არაფერი ჰქონდათ.

— აი, აქ მირიან მეფე მარხია!

მიმითითა მან იმ ადგილზე, სადაც ისტორიულის გადმოცემით ქრისტეს კვართი ასაფლავია.

მე პასუხი არ გავეცი. ან რა უნდა მეთქვა მე, შემთხვევით მოსულს აქ, იმ ადამიანისთვის, რომელიც სამოცი წელიწადი სწმენდდა მტვერს ამ წმინდა საფლავიდან და თან ბუტბუტებდა:

— „წმინდაო მეფე მირიან, ევედრე ღმერთსა ჩემთვის!“.

დავარწმუნებდი განა რაშიმე? და ჩემთვის ნათელი გახდა, რატომ არ ვიცით აქამდის—სად მარხიან ზოგიერთი ჩვენი მეფენი.

ნუ გგონიათ, რომ ამ „საფლავ დაკარგულ“ მეფეებს მათი პერისუფალნი, მინისტრები და სამეფო ხალხი მარხავდნენ.

— მათ მარხავდნენ სწორედ ეს მნათეები და ყოველი მნათე მხოლოდ თავის ეკლესიაში.

ამიტომ არის რომ ამდენია თამარის საფლავი, მირიანის საფლავი...

—

როცა მცხეთის ტაძრის ისტორიას კითხულობ, თქვენს წინ მთელი საქართველოს ისტორიაა.

— „როგორ დაეცა საქართველო, როგორ ამაღლდა!“

მაგრამ შავ-ბნელ დღეებთან მას აქვს ნათელი დღეებიც.

მცხეთაში ბაგრატიონები იმარხებოდნენ. მაგრამ მცხეთაშივე გვირგვინდებოდნენ...

მცხეთის ტაძარში ბევრი მეფე დაგვირგვინებულა, მაგრამ ყველაზედ შესანიშნავად მეფე თეიმურაზ მეორის დაგვირგვინება უნდა ჩაითვალოს.

„ქართლის ცხოვრება“, რომელიც მოკლე და მშრალია ამბების გადმოცემაში ფერადებს არ იშურებს ამ დღესასწაულის აღწერის დროს.

არც ერთი ბრძოლა, რომელსაც კი დაუღუპავს საქართველო და რომელმაც კი აღუდგენია იგი მკვდრეთით—არ არის ისე დაწვრილებით აღწერილი, როგორც თეიმურაზის დაგვირგვინება.

და ეს ადვილი გასაგებია.

საქართველოს მაჰმადიან მეფეთა შემდეგ, ყველა შაჰ-ყული-ხანებისა, შაჰ-ნავაზებისა და დაუდ-ხანებისა—თეიმურაზ მეორე პირველი ქრისტიანი მეფე იყო, რომელიც ავიდა ქართლ-კახეთის ტახტზე. და განთავისუფლებულმა ხალხმა ყველაზედ პირველ ის ისურვა, რომ

— მეფეს „რჯულისამებრ“ ეგვირგვინა!..

დიდის ხნით დაკეტილი მცხეთის ტაძრის კარები ამ დღეს პირველად გაიღო საქართველოს მეფისთვის, რომელსაც მირონი უნდა ეცხო და გვირგვინი ეღო.

ეს იყო უდიდესი დღესასწაული ხალხისა, რომელიც ამ დღეს თავის ჩვეულებათა რენესანს ხედავდა.

ეს ჩვეულებანი კი ბევრს სიდიადეს და სილამაზეს შეიცავდნენ.

გამაჰმადიანებულ ქართველის ქვეწარმავლობას და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა რომელიმე სპარსელი შერბათზე მიიწვევდა, სულ მუცელზე ხოხვით მიდიოდა შაჰინშას მოადგილესთან.

მაგრამ რა ამაყი იყო ძველი ქართველი, რომელმაც შექმნა ლამაზი და მძლავრი ეტიკეტი „მეფის კარის გარიგებისა“.

განისვენებდა მეფე ტახტზედ. მოახსენებდნენ, რომ ამა და ამ დიდებულს მისი ნახვა სურდა და მეფეც ყველას ისე ღებულობდა, როგორც მნახველის პატივს შეეფეროდა.

იყვენ ისეთები, რომელსაც მეფე ტახტზედ მჯდომარე იღებდა. იყვენ ისეთები, რომელთაც ფეხზედ უნდა ასდგომოდა. დასასრულ იყვნენ ისეთი დიდებულები რომელთაც განსაკუთრებულის პატივი უნდა დახვედროდა.

მეფის ტახტი მაღლობ ადგილზე იდგა და ასეთ დიდებულების შემოსვლის დროს, იგი მოვალე იყო რამდენიმე საფეხურით წინ შეგებებოდა. ზოგს ერთით, ზოგს ორით, ზოგს სამით.

სააღდგომო და საშობაო მილოცვა მთელი მეცნიერება იყო სამეფო ეტიკეტისა, რომელიც მაშინდელ ქართველ „მაყორდომებს“ და „ჰოფ-მეისტერებს“ უნაკლოთ უნდა სცოდნოდათ.

საიდან გაჩნდა ჩვენში ეს ეტიკეტი? იგი დაბადა ბიზანტიის გავლენამ და ქართული სულის მუდმივმა მიდრეკილებამ სილამაზისა და ტრადიციისადმი.

მაგრამ ყველა ცერემონიებზე უდიდესი ძველ საქართველოში მეფის დაგვირგვინება იყო.

—

მცხეთა ამ დღეს სავსე იყო ხალხით, აქ იყო ჯარი მეფისა, ჯარი კათალიკოსისა. თვით დიდი ტაძარი სავსე იყო აგრეთვე ხალხით მეფე ეკლესიაში ამაღლით შეაცილეს.

ყველაზედ წინ მიდიოდა ზაალ ორბელიანი—მეთოფეთა უმფროსი.

შემდეგ მიდიოდა ფეხით მეფე, რომლის

დაპირება ყალბ საბუთებზე, ან ზე-ან ბოძებულ წყალობაზე როდია დამ-ყებული, არამედ იგი თვით დასახელე-ლ სახელმწიფოების საერთო ეკონო-ური მდგომარეობიდან გამომდინარეობს ...ითვე უდიდეს ეკონომიურ საჭიროე-...ქმაყოფილებს. ამიტომ ის მხოლოთ ...ენებასა და ნატვრა სურვილს არ შეი-...ავს, არამედ მომავალ სინამდვილეს წარ-...ოგვიდგენს.

დღეს ამ საგანზე გერმანია ავსტრო-უნ-...ეთში ბევრი წიგნი და ბროშურა იწე-...ება და კითხვა უმაღლეს მმართველ ...რეებშიაც ირკვევა.

მართალია, თავდაპირველათ გერმანიის „იმპერიალიზმის“ იდეოლოგები „გერმა-...ის დიდი იმპერიის“—ნორდკაპიდან ვიდრე ხმელთაშუა—ზღვამდე—დაარსების შესახებ ბევრს ლაპარაკობდენ, მაგრამ დღეს ამაზე არას ამბობენ და სამაგიეროთ, კი-დევ მეტი აღფრთოვანებითა და გატაცებით ბჭობენ გერმანიის, ავსტრიის და უნგრე-...ის სადამოჟნო გაერთიანებაზე.

სწორეთ ასეთივე სადამოჟნო გაერთია-...ებით დაიწყო გერმანიის ეროვნულ-სა-...ელმწიფოებრივი გაერთიანების პროცესი, რამაც სულ რამდენიმე წლის განმავლო-...აში გაერთიანებული „ახალგაზრდა გერ-მანია“ ისტორიულ სარბიელზე „დიდ იმ-პერიათ“ წამოაყენა; მაშინ საქმე „ჩრდი-ლო გერმანიის სადამოჟნო კავშირით“ დაიწყო; ახლა კი შუა ევროპის სამი სა-ხელმწიფო—გერმანია, ავსტრია და უნგრეთი ერთ მთელ ეკონომიურ ორგანიზაციათ ეწყობა და მაშასადამე პოლიტიკური შე-დეგიც მას გაცილებით დიდი და მრა-ვალ მნიშვნელოვანი უნდა მოჰყვეს.

ეს აზრი და გეგმა დღეს უმთავრესათ ავსტრიასა და უნგრეთში არის წამოყენე-ბული და მას გერმანიის აგრარებიც (მემამულეები) კი აღარ ეწინააღმდეგებიან, თუმცა ერთი შეხედვით ისინი ამის დიდ მოწინააღმდეგეთ უნდა გამოსულიყვენ, რა-დგან თითქო ასეთი სადამოჟნო კავშირი გერმანიის სამეურნეო ნაწარმოების ფა-სებს დასცემდა.

მაგრამ საკითხის შესწავლის შემდეგ აღ-მოჩნდა, რომ აქ, ამ კავშირში გერმანიის მემამულეებისთვისაც კი საშიში არაფე-რია.

საკითხი საფუძვლიანათ გამორკვეულია მეტათ საყურადღებო წიგნში; ერთია „გერმანიასა და ავსტრო-უნგრეთ შორის დადებული სამეურნეო და საბაჟო კავში-რი“ და ეკუთვნის ქ. ვენის პროფესორს, ე. ფილიპოვიჩს; მეორე კი „გერმანია და უნგრეთი“-უნგრეთის ერთი გაზეთის რე-დაქტორის, ედ. პალის კალმის ნაწარმოე-ბია.

ამ წიგნებში გამოთქმულ აზრზე დადგა აგრეთვე უნგრეთის მრეწველთა ცენტრა-ლური ორგანიზაციის კრებაც, რომელიც ამას წინათ ქ. ბუდაპეშტში იყო გამარ-თული.

ზემოხსენებულ ავტორებს მხარი დაუ-ჭირა გერმანიის ხელისუფლებისა პრესა-მაც და მართველ წრეებშიც მათ აზრსა და გეგმას თანაგრძნობით მიეგებენ.

როგორც ხედავთ, ამ გეგმით ახალი პო-ლიტიკური ორგანიზმი ჩნდება: ახალი იმპერია, „ცენტრალური ევროპის შეერ-თებული შტატები“ არსდება, და ეს ახა-ლი სახელმწიფო—უკეთ სახელმწიფოთა ასოციაცია—საკმაოთ ვრცელ ტერიტო-რიას მილიონ კვადრატულ ვერსს—შეი-ცავს, სადაც 120 მილიონი მცხოვრები ერთ მთლიან საეკონომიო ორგანიზაცია-ში თავს იყრის.

თუ რამდენათ მტკიცე საფუძველზე იქნება აგებული ეს კავშირი—სამი სა-ხელმწიფოს ასოციაცია, ამას მათი ეკო-ნომიური საურთიერთო დამოკიდებულე-ლება ნათლათ გვიჩვენებს.

ჩვენ ვიცით, რომ გერმანიის და საზო-გადოთ ყველა სახელმწიფოების პროვინ-ციების პოლიტიკურათ გაერთიანებას წინ უძღოდა ეკონომიური გაერთიანება. სა-ურთიერთო აღებ-მიცემობის განვითარება, პროვინციათა შორის შრომის განაწილე-ბა და თითოეულ მათგანში მრეწველობის სხვადასხვა თავისებური დარგის აღორძი-ნება.

სწორეთ ასეთივე მოვლენა აერთებს და აკავშირებს დღეს ხსენებულ სამ სახელ-მწიფოს, რომლებიც პოლიტიკურადაც უკვე არიან შეკავშირებულნი და უკვე აშკარავებენ იმ ტენდენციას, რომ მო-მავალში ერთ მთელ ორგანიზმათ, ერთ დიდ სახელმწიფოთ—ასოციაციათ გადაიქ-ცენ, რომ თავისი საზოგადოებრივი ცხო-ვრება ერთი ძალა-უფლების ხელმძღვანე-ლობით აწარმოონ. ეს იქნება კაპიტა-ლიზმის და მასთან ერთათ „იმპერიალიზ-მის“ დაგვირგვინება-განვითარება, უმაღ-ლეს და თან უკანასკნელ საფეხურზე ას-ვლა, რომლის შემდეგ საზოგადოებრივი განვითარების ზეაღმავალი კიბე თითქო წყდება, თითქო ზევით სავალი გზა აღა-რა სჩანს; ნამდვილათ კი ამ უკანასკნელი საფეხურის მერე იწყება სულ ახალი სფე-რო, რომელსაც ჩვენ „აღთქმულ ქვეყა-ნას“ ვეძახით და სადაც კაცობრიობა სა-ყოველთაო და თანასწორი ბედნიერების ემბაზში უნდა მოინათლოს. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდეს, მანამ აუცილებლათ სა-ჭიროა, კიბის უმაღლეს, უკანასკნელ სა-ფეხურზე მისი, კაცობრიობის აყვანა და აი ამ როლს კისრულობს დღეს გერმანიის უმწვერვალესათ განვითარებული კაპიტა-ლიზმი და მაშასადამე მისი „იმპერიალიზ-მი“!

**დე—ლი.**

(დასასრული იქნება.)

---

მარჯვენა მკლავი სარდალ ქაიხოსრო ორ-ბელიანს ეპყრა, მარცხენა—კონსტანტინე მუხრან-ბატონს.

უკან მისდევდნენ დიდებულთა შვილ-ნი—„რომელთაც მიჰქონდათ მეფის თი-თო-თითო იარაღნი“.

ეკლესიის შუა გულს ტახტი იდგა ოთხ ხარისხიანი. ტახტზედ ორი სელი იდგა. ერთზე მეფე დაბრძანდა, ერთზედ პატრი-არქი.

მოიტანეს მარტივ ბისონი და ჩააცვეს. ბისონსა ზედა ჩააცვეს დიადიმა, წამოასხეს პორფირი, დაადგეს სამეფო გვირგვინი. „მარჯვენასა მისცეს სკიპტრა და მარ-ცხენასა ქვეყნის სფერიო“—ამბობს მემა-ტიანე.

ამირ-სპასალარმა ხმალი შემოარტყა.

ეს დღესასწაული უკანასკნელი ბედნიე-რება იყო მცხეთის საკათედრო ტაძრისა. ახალგაზრდა ირაკლი, რომელიც დაე-სწრო თავის მამის თეიმურაზის დაგვირ-გვინებას, დღეს აქ განისვენებს და თანა-მედროვე მცხეთას დიდი ხანია დაეკარგა ის იერი, რომელიც ჰქონდა მას ჟამსა მის ჭაბუკობისასა.

მაგრამ საკვირველ არიან საქმენი შენი, უფალო! მცხეთა მუდამ გამოცოცხლდება ხოლმე, როცა კი ბაგრატიონთაგანი ვინ-მე კვდება.

ასე იყო 1899 წელს, როდესაც საქარ-თველო იგონებდა ასი წლის სიკვდილს თავის მეფე ირაკლისას, ასე იყო, როცა მცხეთაში დაიკრძალა თავადი კონსტან-ტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი და ასეა დღეს, როცა მარხავენ თავად კონსტან-ტინე ალექსანდრეს-ძე მუხრან-ბატონს.

**ფარსმან ფარუხი.**

---

## ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოება.

(მოკლე ისტორია).

(დასასრული იხილე „სამშობლო“ № 90).

რაკი მარგანეცის ფასმა მომატება და-იწყო, სრული იმედი იყო, რომ ახალი გამგეობის ზემოთ დასახელებული მოხსე-ნება სრულიად გამართლდებოდა და ერ-თი წლის განმავლობაში ისე გასწორებუ-ლი იქნებოდა იმ 222000 მანეთის მოსა-ლოდნელი ზარალის ანგარიში, რომ არც ერთი მანეთი აღარ დაურჩებოდა წევრებს გადასახადათ. ასე იმედოვნებდნენ 1905 წელს.

საუბედუროდ ვიღაც გაბოროტებულმა გამოიმეტა სიმონ ლორდქიპანიძე მოსა-კლავად. დასჭრა ესროლა მას რევოლვე-რი და მძიმედ ისე რომ ეს პატიოსანი ადამიანი იძულებული გახდა ამ საზოგა-დოებაში სამსახურისათვის თავი დაენებე-ბინა მის მაგიერ იმავე 1905 წელს, აპ-რილის საზოგადო კრებაზე, ამორჩეულ იქნა—ანდრია ერისთავი. რამდენიმე თვის შემდეგ, საზოგადოების მეთაურებთან მარგანეცის გაყიდვის თაობაზედ ამასაც დიდი უსიამოვნება შეემთხვა და სამ-სახურს თავი მიანება.—რამდენიმე თვის შემდეგ შერიგდენ წაკიდებულები, და ერისთავი ისევ დაუბრუნდა თავის თანა-მდებობას.—ასე ამნაირად განვლო ორმა თუ სამმა წელიწადმა.—ამ ხნის განმავ-ლობაში ანდრია ერისთავს თავისებურად მიეყიდა მარგანეცი ბერძნისთვის—მანო-ლოპულოსთვის. მერე კანონიერად—ნო-ტარიუსის წესით—მარგანეცი მიჰყიდეს ფორვუდის წარმომადგენელ—სოლელაკსა ფუთი $13^3/_4$ კ. ბოლოს საქმე გაუხდათ სასუდოთ და საადვოკატოდ.

მორიგებაც მალე მომხდარიყო, მომრი-გებლებსაც მიეღოთ გასამსჯელო. არსაი-დან არ სჩანს, რომ ფორვუდს—სოლე-ლაკს მიჰყიდეს მარგანეცი ფუთი $13^3/_4$ კაპეიკად ნოტარიუსის ხელშეკრულობით ივნისის 14-სა 1906 წელსა.

სრულიად გზა-კვალ დაბნეულია ის, რაც უნდა იყოს ყველასთვის ნათლად გასაგებათ, თუ ფუთი მარგანეცი $6^1/_2$ კა-პეიკზე მეტად გაყიდა იმ 222000 მანე-თის მოსალოდნელ ზარალის გასასტუმ-რებლად, რამდენი შემოვიდა, არც ის არის ნაჩვენები როგორც რიგია, 648000 ფუთი ზედმეტი მარგანეცი რომ აღმოჩ-ნდა. ამის ფასი—$13^3/_4$ კ.—ფ. ხომ ზა-რალის დახურვას უნდა მოხმარებოდა.

1907 წლის ანგარიში ორჯერ დაბეჭ-დილა, პირველად არის მოხსენებული ასე რომ 682000 ზედმეტ მარგანეცში შე-მოვიდა 68200 მანეთიო, და მეორედ დაბეჭდილში ეს არ არის ნაჩვენები.

არც ის არის არსად ნაჩვენები თუ იმ ძველ პროტესტიან თუ უპროტესტო ვე-ქსილებში, რომლებიც უიმედოთ ჩათვა-ლა რევიზორმა 172000 მანეთის ანგარი-ში, რამდენი შემოდიოდა ყოველწლი-ურათ.

ეს უბრალო საქმე არ იყო.

რატომ თავის დროზე არ ახსნეს, რომ ყველას გაეგო, ყველას შეეტყო, დაურ-ჩათ თუ არა წევრებს თავიანთ თავდებო-ბაში კიდევ რაიმე გადასახადი.

ნუ თუ ეს სასირცხვო და ანსავნებელი იყო ბანკისთვის, რომ საურთიერთო კრე-დიტის საზოგადოების მართველებს მოხ-სენებიათ ცხადათ, ყველას გასაგებად ყო-ველივე ზემოხსენებული ანგარიშები, და ანგარიშითვე დაემტკიცებიათ, რომ ის მოსალოდნელი ზარალი არ გამართლდა, რომ მარგანეცი ფუთი 4 კაპეიკათ კი არა, $13^3/_4$ კ. გაიყიდა, რომ თითონ მარ-განეცის რაოდენობა ფუთობით აწონის დროს აღმოჩნდა 682000 ფუთზე მეტი, რომ ზარალად ნაჩვენებ იმ ვექსილებ-შიაც ამდენი ფული შემოვიდა და რომ წევრებს აღარაფერი ექნებათ გარ-დასახადი ბანკის თავდებობაში, და თუ რაც მათ გადიხადეს, უკანვე დაუბრუ-ნდება.—

ნუ თუ ეს არ იქნებოდა სიმართლე და არ აღადგენდა ამ საზოგადოების კრე-დიტს?—

უსამართლო საჩივრებით, საზოგადოე-ბის წევრების უკანონოდ გამორიცხვითა და სინამდვილის დაფარვით არ მიეცემა სიმკვიდრე ამ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებას და ამ ნაირათ საქმის წაყ-ვანა დიდ ვნებასაც მისცემს მომავალში*).

***

*) იმედია ამ ბანკის დღევანდელ საზოგადო კრებაზე ყველაფერი გამოირკვევა, ან ცალკე კო-მისიას დაავალებენ მის გამორკვევას და ყოველ გვარ მითქმა-მოთქმასაც ბოლო მოეღება, აი რი-სთვის მოვათავსეთ ეს მოკლე, მაგრამ საინტერე-სო ისტორია. რამდენათაც ჩვენ ვიცით, რევიზიის შემდეგ საზოგადოების თითოეულ წევრს ზარალის დასაფარავათ უნდა გადაეხადა 27 პროცენტი (კრედიტის მიხედვით). მაგრამ რაკი დაგირავებული მარგანეცი ნავარაუდევზე უფრო ძვირათ გაიყიდა და ზოგი გასაჩივრებული ვექსილიც განაღდდა,—ეს თანხა კასსას მიემატა და ზარალის დასახურავათ წევრებს 27% მაგიერ, მხოლოდ 20% გადახდათ. და ბანკის ზა-რალი ანაზღაურდა.

**რედ.**

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

✦ დღეს, 31 მაისს, საკათედრო ტაძა-რში ეპისკოპოსი გიორგი გადაიხდის წირ-ვას და პანაშვიდს გერმანელებთან ბრძო-ლაში გმირულად დაღუპულის კ. ა. მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად.

✦ თ-დის კონსტანტინე ალექსანდრეს ძის მუხრან ბატონის დაკრძალვაზე დასა-სწრებათ ქუთაისის გუბერნიის თავადაზ-ნაურობიდან მცხეთას გაემგზავრა ლეჩხუ-მის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი თ-დი იასონ დავითისძე გელოვანი. თ-დი მუხრან-ბატონის ცხედარს მცხეთაში დღეს დაკრძალვენ.

✦ დღეს, 31 მაისს, დილის 12 საათზე. ქართული გიმნაზიის დარბაზში მოხდება. ჯარში გაწვეულთა დამხმარე გუბერნიის თავადაზნაურთა კომიტეტის კრება. კომი-ტეტი განიხილავს სოფლებიდან გაწვეულ ჯარის კაცთა ოჯახების თხოვნებს რათა მათ დახმარება აღმოუჩინონ.

✦ დიდი მთავრინა ტატიანა ნიკო-ლოზის ასულის სახელობის კომიტეტის ქუთაისის განყოფილების გამგეობამ სხვა-დასხვა მიზეზის გამო პარასკევს, 29 მა-ისს, ყულაბებით ფულის მოკრება ვერ მოაწყო. კომიტეტს განზრახვა აქვს ფუ-ლის მოკრება ამ დღეებში გამართოს.

✦ ქალ. საბჭოს სოოჯახო კომისიამ და ქალ. გამგეობამ ქუთაისის ყასაბთა საყურადღებოთ შეიმუშავა ხორცის ნიხ-რები: პირველი ხარ. ხორცათ ჩაითვლე-ბა: შიგნით ბარკალი—უარტლოთ და სათბილო დაბალი ხორცის დაუწონავათ; მეორე ხარისხათ: ჩალაღაჯი, მკერდი, ბეჭი და საკატლეტო ნაწილი; მესამე ხარისხათ:—ანგალა, მხარი, მხრის წინა ნაწილი, არტალა,—წვივი, კისერი, ერ-ხემალი და სხვა.

პირველი ხარისხის ხორცი უნდა იყი-დებოდეს 18 კ. მეორე—17 კ. და მე-სამე 14 კაპ.

ქალ. გამგეობამ ყასბებს ფურცლები უკ-ვე დაუგზავნა სავაჭროებში.

✦ დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდება ქუთაისის საურთიერ-თო ნდობის საზოგადო კრება.

კრება დილის 10 საათზე დაიწყება.

✦ სანიტარულმა ექიმმა ვ. წერეთელ-მა ძველი ნივთებით მოვაჭრეებს აუკრძა-ლა უდეზინფექციო ტანისამოსის გამო-ტანა და გაყიდვა.

✦ დღეს მოლოროსიელთა დასი გა-მართავს ორ წარმოდგენას დილის და საღამოს. დილის წარმოდგენა იაფფასიანია ჯარისკაცთა და ბავშებისათვის. საღამოს წარმოდგენა კი ჩვეულებრივი იქნება.

✦ გუშინ, 30 მაისს, დილის 7 საათზე, დოლიძის სარძევეში, როცა პატარა 11 წლის ტყეშელაშვილის ქალმა რძე მიიტანა, პარმენ დოლიძემ მას ხუმრობით თოფი დაუმიზნა. ბავში შეშინდა და გაიქცა, თოფი უცაბედათ გავარდა, პატარა ქალს მოხვდა და მძიმეთ დაიჭრა.

✦ ამ დღეებში დ. ჩოხატაურში გაემგ-ზავრა ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესია. სასამართლოს დაუდგენია, რომ სესია ყველა პროვინციაში გაემგზავროს ხოლმე საქმეების გასარჩევათ.

✦ რედაქციამ მიიღო დათიკო ღოღობე-რიძის წიგნაკი „გზა და გზა“ ლექსები და მოთხრობები. წიგნაკი კარგათ არის გამოცე-მული შეიცავს 64 გვ. და ღირს სამი შაური.

სოფლის მასწავლებელთა და უფასო სამკი-თხველოებს ეს წიგნი დაეთმობათ ავტორისა-გან სრულიად უფასოთ პირველს—თითო, ხო-ლო მეორეს—სამ-სამი ცალი.

✦ ივნისის განმავლობაში ოლქის სასამარ-თლოს სისხლის განყოფილებას სხდომები 14 დღეს ექნება.

✦ როგორც ს. წყალტუბოდან გვწერენ, დი-დი წვიმების გამო დათესილი ყანები ძლიერ და-ზიანებულია. ——

## თფილისი.

— ქართულ დრამატიულ საზოგადოე-ბას შარშან თფ. გუბერნიის თავად-აზ-ნაურობამ დახმარებათ მისცა 9,000 მან. 1915 წლის ხარჯთაღრიცხვაში სადეპუ-ტატო საკრებულომ წელს 9,000 მან. ნაცვლად შეიტანა 5,000 მან. თავად-აზნაურობის საზოგადო კრება როგორც ამ საკითხს, ისე საერთო საკითხზე სხვა და სხვა დაწესებულებათათვის დახმარების აღმოჩენის თაობაზე დღეს განიხილავს.

გამგე ტფილ. ქარ. გიმნაზიისა ალ. ქუჩინაძე. „**სახ. ფურ.**“.

— დარბეულთა დახმარება. ომის მიერ დარბეულ განაპირა რუსეთის ადგილების დასახმარებლათ, კვირას მეფის მოადგი-ლის ბაღში დიდი სეირნობა გაიმართება. სხვა მრავალ ფეროვან გასართობთა შო-რის იქნება ლატარეია, რომელშიაც ძვირ-ფასი ნივთებიც არის ჩაგდებული. იმავე მიზნისათვის გადაიდება თფილისის ყველა გაზეთის კვირის ხელზე გაყიდვისაგან დარჩენილი წმინდა შემოსავალი. იმ დღე-ვანდელი წმინდა შემოსავალი თფილისის სინემატოგრაფებისაც ამავე მიზანს მოხ-მარდება.

— აჭარაში ქართულმა საქველმოქ-მედო საზოგადოებამ გაგზავნა გამოც-დილი ფერშალი გ. კაჭახიძე და დაავალა დარბეულ მცხოვრებთ საექიმო უფასო დახმარება აღმოუჩინოს, კაჭახიძემ თან წაიღო საჭირო წამლები და ხელსაწყო იარაღები. ბათომის კომენდანტს უკვე დაურთავს მისთვის ნება აჭარაში შესვ-ლის და მცხოვრებთა დახმარების.

„**თ. აზრ.**“.

## ქ. ფოთის ამ-ბავი.

23 მაისს ადგილობრივ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მიერ გამართუ-ლი იყო წარმოდგენა. ითამაშეს ა. ცა-გარლის 4-ს მოქმედებიანი დრამა „ქარ-თველი დედა“. წარმოდგენამ კარგად ჩა-იარა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპ-ყრობს ქ-ბი ჯავახიშვილი (მარინე), და ნორაკიძე (ლეილა). სხვა მოთამაშეებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. წმინდა შე-მოსავლიდან 50 მანეთი დაზარალებულ აჭარლების სასარგებლოთ გადასდევს.

24 ამავე თვეს იმავე საზოგადოებამ სუ-ფსაში, კნეინა ნაკაშიძის თხოვნის გამო, იგივე წარმოდგენა გამართა. წარმოდგე-ნამ მიუხედავათ დარბაზის ... სცენის მოუწყობლობისა და ... ხელის შემშლელ პირობისა კარგად ჩაია-რა. ლეილას როლის შემსრულებელს (ქ-ნ ნორაკიძეს). ცოცხალი ყვავილები-დან გაკეთებული თაიგული მიართვეს კარგი თამაშობისთვის. საზოგადოება ბლო-მათ დაესწრო.

როგორც გადმოგვცეს, ნაწილი შემო-სავლისა გადაიდება აჭარლების სასარგე-ბლოდ, დანარჩენი კი სუფსის სამკითხვე-ლოს გადაეცემა.

იგივე საზოგადოება 9-ივნისს, აკაკის დაბადების დღის აღსანიშნავად სდგამს წარ-მოდგენას.

ჩვენს სამკითხველოს არაფერი ეშველა. კარები ისევ ძველებურათ გამოკეტილია. მივაქცევთ ყურადღებას ამ საგანზე ფო-თის ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გან-ყოფილებების გამგეობისას. დროა ეს სა-ქმე მოწესრიგდეს და მით საზოგადოებას მიეცეს საშუალება სამკითხველოში სია-რულისა. თორემ როდემდის იქნება ასე. ცხოვრება თავის კალაპოტში დგება. ხალ-ხი ბლომათაა და როდემდის უნდა ვუყუ-როთ?

აკაკი ხოშტარიას მიუქცევია ყურად-ღება მდინარე ტეხურისათვის და მასაც გამოუგზავნია სპეციალისტები წყლის შე-სამოწმებლად და გამოსაკვლევლად. ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მრეწველებისას მეორე მდინარეზე სახელდობრ ენგურზე, რომელიც არ ჩამოუვარდება ტეხურს. იხილეთ ამის შესახებ Бюллетени при водномъ Управленіи на Кавказѣ. აგეთებია ცხენის წყალი ცაგერის ახლო და ცოტათი კიდევ ნაკლებით ყვირილა. რა თქმა უნდა, რომ ყველას ერთად მრე-წველი ვერ მოჰკიდებს ხელს, მაგრამ გა-მოკვლევა კი საჭიროა, რომ დარწმუნდეს ადამიანი რომელი მდინარე უფრო ხელ-საყრელია ექსპლოატაციისათვის. რომე-ლი უფრო აკმაყოფილებს ტეხნიკურ მხა-რეებს, როგორი რაიონი ფარგლავს მას, რა შეიძლება მოეწყოს ირგვლივ, როგო-რი გასავალი ექნება ელექტრონულ ენერ-გიას, რამდენზე იქნება ის გადასაცემი, იმ რაიონში, რაგვარი მრეწველობაა და რას მოუტანს ის მრეწველს, რა ტიპის მანქანები უნდა მოეწყოს, რა დაჯდება აშენება და ექსპლოატაცია, როდის ან რა ხნის განმავლობაში შეიძლება აინა-ზღაუროს მრეწველმა თავისი ხარჯები და ამ მიზნისათვის როგორი უნდა იქნეს პროცენტი (для амортизаціи). მრე-წველმა არ უნდა დაივიწყოს ინგლისელე-ბის კონცესია, სახელდობ სტუარტის კონცესია გოქჩის ტბისა. და სხვა წვრილ-მანი საკითხები.

ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი ტყემა-ლაძე ქალაქ თბილისს გაემგზავრა კრება-ზე დასასწრებათ.

ქალაქის გამგეობა აპირებს ღარიბ მცხოვრებლებს სიმინდი დაურიგოს, რის შესახებაც უკვე მოლაპარაკება ჰქონდამრე-წველ გიორგი ქავთარაძესთან.

რუსეთიდან უკვე მოდიან გემები და საკმაო ფქვილი და სხვა სანოვაგე მო-აქვთ.

ამ ბოლო დღეებში გამოიდარა და კლუბი აპირებს საზაფხულო სადგომში, ქალაქის პავილიონში გადასვლას.

**გნეგლი.**

## აგარაკი-ბახმარო.

**ბახმარო ცნობილი აგარაკია.** ის ადგილი, სადაც მცხოვრებთა სახლებია გაშენებული მეტათ ლამაზი, სწო-რი და დაფენილი ადგილია. ირგვლივ შემოზღუდულია თვალუწვდენ მთებით. ბახმაროს ჰავა ჰკურნავს ჭლექიანს, ციე-ბიანს, სუსტ ძარღვებიანს და სხვ. აგარაკ-ზე ყოველ წელს არსებობს „ჯანმრთე-ლობის“ საზოგადოება, რომელიც ყოველ წელს დიდ სიფრთხილეს იჩენს სისუფთა-ვისა და კულტურული დაწესებულების შენახვის საქმეში. გასულ წელს მოაგარა-კეს, ცოტაოი, ხელი შეუშალა საერთა-შორისო ომის სასტიკმა პირობებმა, გას-ძვირდა ფქვილის ამოზიდვა, მაგრამ არსე-ბულ საზოგადოების ენერგიული შრომით ყველაფერი თავის დროსა და რიგზე იქნა დაკული.

წელს, როგორც „თ. აზრის“ კორეს-პოდენტი ბ-ნი ეკაშვილი გვაუწყებს ქ. ოზურგეთში საზ. „ჯანმრთელობის“ მიერ საგანგებო მოწვეულ კრებაზე გადაწყვე-ტილა მოაგარაკენი უზრუნველ ყოფილი იქნებიან, როგორც ფქვილით, ისე ყო-ველგვარი სანოვაგით. საგანგებოთ ვაგო-ნების გამოწერა და ფქვილის ნატანების სადგურზე მოზიდვა უკისრია ბ-ნ დიმ. ზ.

ქარცივაძეს. ამასთან კრებას ისიც მამოურკვევია, რომ მეზობელ მაჰმადიანებიდან არავითარი საფრთხე არ არის მოსალოდნელი, მით უმეტეს, რომ ყოველ წელს მოაგარაკენი და მაჰმადიანები დიდ განწყობილებაში იყვნენ. მათ ბლომათ შემოაქვთ რძე, მაწონი, ყველი, საკლავები და მოაგარაკენიც საკმაო ფასს იხდიდენ.

ამიტომ მოუწოდებთ ყველა, გაჯანსაღების მსურველს, ვისაც სურს საგარაკოთ გასვლა ნურაფრის შიში ნუ ექნებათ და გაეშურონ ბახმაროსაკენ.

ბახმაროზე ასვლა შეიძლება სამი გზით ჩოხატაურიდან, ხიდისთავიდან და ვაკიჯვრიდან. კარგს ინებებს „ჯანმრთელობის“ საზ. თუ ერთს დახელოვნებულ მსახიობს მაინც მოიწვევს წარმოდგენების სამართავათ, მით უმეტეს, რომ თეატრის შენობა კარგი აქვთ და ეკუთნის საზ.

**კოკი გბრალიძე.**

## წყალტუბოს სამკურნალო წყლები.

ჩვენი კეკლუცი სამშობლო საქართველო მრავალი მიმდიდრით არის მოცული, მრავალი ძვირფასი სანახაობით არის შემკული, დედა-მიწის სიღრმეში ბევრი მადნეულობა არის ჩაფლული, მაგრამ, ჩვენი დაუდევრობის გამო, ბუნების ეს დიდებული სიმდიდრენი ისე უყურადღებოთ არის მიტოვებული, რომ მხოლოდ სირცხვილს იწვევს ყოველ შეგნებულ ქართველის გულში.

მე მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება წყალტუბოს აბანოზე. ამ უკანასკნელ ხანები სწავლულმა კაცებმა იპოვეს რა წყალტუბოს წყლებში რადი, — ეს უებარი წამალი სხვა და სხვა გვარ ავათმყოფობისა, — მიაქციეს დიდი ყურადღება მას და მოათავსეს გაზეთებში წერილები და აცნობეს საზოგადოებას ამ წყლების დიადი მნიშვნელობა. მიუხედავათ ამისა, ჯერ ჯერობით მაინც არა გაკეთებულა რა,

ამ დღეებში მომიხდა იქ ჩასვლა. ჩემს თვალ წინ გადიშალა სამწუხარო სურათები: პირველ შესვლისთანავე სიბინძურის სუნი მეცა. სადგომ ოთახში კედლები დანამულია სინესტითაგან. იატაკზე 5-6 წ. მტვერია დარჩენილი, თითონ ოთახი დაბალი თითქმის მიწაზე აგებული, ბნელი, რადგან მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა აქვს და ისიც მთელი წლობით გაუწმენდელი, ბევრ ადგილას სახურავი ნახევრათ ჩამოშპალია, კარებს საკეტავი არც შიგა აქვს და არც გარედ. და, რა თქმა უნდა, აგეთი სახლები საცოდავ სანახაობას წარმოადგენს. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, თვით აბანო მაინც რომ იყოს მოწყობილი.

კარს რომ შეაღებთ შიგ, ისეთი საზიზღარი სუნი გეცემათ, რომ, თუ ძალიან გაჭივრებული ავადმყოფი არა ხართ, უკან დაბრუნდებით და შემდეგ არასოდეს ფეხს აღარ შეადგამთ. შიგ თითქმის სულ ბნელა, რის გამოც გახდილი ტანისამოსი ერთმანეთში ირევა და, ძალლი პატრონს ვეღარ იცნობსო რომ იტყვიან, სწორედ ისე ხდება: შეიქნება ყვირილი, აურზაური და ერთი უბედურება. იკარგება ბევრი რამ: მაგალითად, საათი, თბილი მოსახურავები, ზეწარი და ასე გასინჯეთ საცვლებიც კი.

როგორც მოგეხსენებათ, სამკურნალო თბილი წყალი მუდმივათ ამოდის მიწიდან, ამისათვის ნაბანი წყალი შეიძლება ხშირად გადაუშვან და მის ადგილას უცებ ახალი ამოვა. ყველას სურს, რა თქმა უნდა, რომ ახალსა და სუფთა წყალში ჩავიდეს, ერთი მეორეს ასწრებს, ზოგი კარს იკეტავს და სხვას აღარ უშვებს, შეიქნება ლანძღვა-გინება უშვერი სიტყვებით.

ბევრი ავათმყოფთაგანი, ჩადის თუ არა წყალტუბოში, ნახულობს აბანოს პატრონს, ეხვეწება საკუთარ წმინდა ვანაში ჩაშვებას და პირდება ფულს ბლომად.

კარგიო, ეუბნება მეპატრონე; მაგრამ ერთი საათის შემდეგ ავიწყდება და დანაპირს ვეღარ უსრულებს. ამას გარდა მოსამსახურე ბიჭსაც აძლევენ ფულს, რომ წყლის გადაშვების დრო გააგებინოს, მაგრამ მრავალ ტანჯულ ბიჭს რომელი ერთი უნდა გაახსენდეს, და ვეღარც ის უსრულებს ხალხს თხოვნას. ამნაირად ხდება დიდი უწესრიგობა. ავათმყოფები იხდიან ფულს იქ, სადაც საჭირო არ არის, და ისიც ტყუილ-უბრალოდ მიდის, რადგან ყველა ერთსა და იმავეს ითხოვს და, თუ ყველას თხოვნა აასრულეს, მაშინ ვერავინ ვერ დაკმაყოფილდება. ჩემის აზრით ფულის (ზედმეტი) წინ-და-წინ გამორთმევა და სხვა-და-სხვა დაპირება არ შეიცავს პატიოსნებას. უმჯობესი იქნება ეცადონ აბანოს გაუმჯობესებაზე, რომ უფრო თავისუფლად შეეძლოს ხალხს ბანაობა და მაშინ აღარც კერძო თხოვნები იქნება საჭირო.

რომ სისუფთავე და წესრიგი იქნას დაცული აბანოში, საჭიროა ხუთი მოსამსახურე მაინც, ერთი მოსამსახურე თავისთავათ ცხადია, ვერ აუვა ამდენ საქმეს.

მაგრამ დალოცვილ მეპატრონეებს ფულის აღება კი უნდათ, ხარჯებს კი გაურბიან.

არც გასაკვირია, რადგან პატრონი ბლომადა ყავს და ერთმანეთის ცქერით ვერც ერთი ვერაფერს ვერ აკეთებს ჩხუბისა და უბედურების მეტს.

ყოველ დილა—საღამოს იკრიბებიან აბანოს ეზოში, შემოუჯდებიან ირგვლივ სტოლს, მოაქვთ საანგარიშო ჩოთქი, ქაღალდები, რაღაც საბუთები და თათბირობენ, რიმდენი შემოვიდა ფული და როგორ გაინაწილონ ამხანაგებმა. ამ დროს ხშირად ჩხუბი მოსდისთ და ყვირილითა და ვაებით იყრებიან. აბანოს გაუმჯობესების შესახებ კი რასამე თქმა მათში არავის წამოცდება, ცოდვათ მიაჩნიათ.

დღეს წყალტუბოს აბანო საჭირო შეიქნა ომში დაზიანებულ მეომრებისათვის, რომლებსაც დამზრალი აქვთ ხელები და ფეხები; 25 მაისიდან ძველი აბანო გადაეცემა იჯარით მთავრობას რაოდენიმე წლის ვადით, 20000 მანეთად.

ბბ. იოსელიანები სიხარულით ცას ეწევიან, რომ ამ საუნჯეს სხვას უდებენ ხელში. მთავრობის შესახედავათ ცოტათი შეაკეთეს იქაურობა, სახურავებს აწორებენ, რომ წვიმა მაინც არ ჩამოვიდეს, ოთახებზე ნუმრებს აწერენ. ამდენხანს კი სულ უბრალო რამეებიც ვერ მოეხერხებინათ.

ძველ აბანოს გარდა, აქ არის კიდევ ახალი აბანო, რომელსაც გუბერნატორის აბანო ქვიან. არის კიდევ აგრეწოდებული კოდის აბანო და არქიერის აბანო (архiерейская баня). ყველაზე უფრო ლამაზათ და სუფთად მოწყობილი არის ეს უკანასკნელი: კარგი ქვის შენობა, ქვევით თეთრი ქვით მოფენილი, რომელშიც პატარ-პატარა ხვრელები აქვს გაკეთებული, რომ ქვემოდან წყალი ამოჩუხჩუხდეს, და მართლაც, ისე საუცხოვოდ ხედავთ შიგ წყლის ბურუსს ქვემოდან ამომავალს, რომ ცქერით ვერ გაძღებით. თან საბანაო ოთახში საკმაო სინათლეა და, იქ, ვანის გაკეთება სწორედ სიამოვნებას მოგვრის კაცს. რადგან მის გაუმჯობესებაზე შრომა და ფული არის წასული, ამიტომ ყოველი ვანის გაკეთება იქ ღირს ერთი აბაზი, როცა სხვა აბანოებში მხოლოდ დღე-და-ღამ უნდა ერთი აბაზი. რა იქნებოდა რომ სხვებიც ასე მოეწყოთ! მაშინ ყველა დიდი სიხალისით გაიკეთებდა ვანებს და ზედმეტ ფულის გადახდასაც არ დაიშურებდა.

ექიმების გამოკვლევით, როგორც სჩანს, რადის შედგენილობა ყველა აბანოში ერთი არ უნდა იყოს. ზოგში არის 4 და რამდენიმე ასეული პროცენტი, ზოგში 5, ზოგში 6 პროცენტი და კიდევ მეტი. წყლის სითბოც ერთი არ არის ყველგან. ყველაზე ნაკლები „ტემპერატურა“ აქვს არქიერის აბანოს წყალს. სხვათა შორის, აქ ამოდის ექიმებისგან უკვე შემოწმებული კუჭის წყალი.

როგორც ვხედავთ, ბუნებას ძალზე დაუჯილდოვებია ეს ადგილი თავისი სიმდიდრით. თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ამ წყლებს სხვა და სხვაგვარ ავადმყოფობაზე, სჩანს იქიდან, რომ აქ მოყავთ დახუთულები, დაკუტულები, ხელებ გაშეშებულები და სხვ. ყველას, ამგვარ ავადმყოფობით შეპყრობილს, რამოდენიმე დღის ბანაობის შემდეგ, დიდი ცვლილება ემჩნევათ და ბოლოს სულაც იკურნებიან.

თვითონ მე ვნახე ერთი საკვირველი სანახაობა: ერთი ახალგაზრდა მასწავლებელი ბერძენი ყარსიდან ჩამოსულიყო დიდის გაჭირვებით, რადგან ორივე ფეხები ძარღვების ანთების შემდეგ ისე დაზიანებული დარჩენოდა, რომ საშინელ ტკივილებსა გრძნობდა და ორი ჯოხით ძლივს დადიოდა. ბევრი უექიმებია ორი წლის წინად, კისლოვოდსკაშიც ყოფილა და არც სხვა რამ დაუკლია, მაგრამ არაფერი შველებია და იმედიც დაუწმენდია სამუდამოდ მორჩენაზე. ბოლოს შემთხვევით გაზეთში შეხვედრია წყალტუბოს წყლების შესახებ ცნობებს. გადაუწყვეტია უკანასკნელად ამის ცდა და ჩამოსულა.

6—7 ვანის მიღების შემდეგ უკეთესობა შეუმჩნევია თავისთვის და უფრო თამამად დაუწყია სიარული, შემდეგ მეორე ჯოხი გადუგდია და მხოლოდ ერთის საშუალებით უვლია. ბოლოს სულ უჯოხოთაც კი შეეძლო სიარული. უნდა გენახათ როგორის ღიმილითა და აღფრთოვანებით უყვებოდა ყველას თავის გამოკეთების ისტორიას. მთელი ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ახლა გავიარე უჯოხოთ, ამბობდა. ხალხი უანგარიშოდ დადის ყოველ კუთხიდან და ელის ხსნასა და განკურნებას. როგორც სჩანს, ამის მზგავსი წყლები მთელს რუსეთის იმპერიაში არ მოიპოვება, და ასეთი საუნჯის აგრე უპატრონოდ მიტოვება ნუ თუ სირცხვილი არ არის!

გლეხობა წყალტუბოში, როგორც ეტყობა, მუყაითი უნდა იყოს თავის საქმეზე. მოაქვთ გასასყიდლათ რძე, ყველი, კვერცხი, ქათამი, ხილეულობა და სხვ. არის დუქნები, სადაც ამზადებენ საჭმელებს, თუმცა ძალიან ცუდათ. ხშირად შეხვდებით ხოლმე ჩამოსულ რუსის ქალებსა და კაცებს, რომლებიც ლანძღავენ იქაურობას, რადგან უსაჭიროეს საგნებს ვერ შოულობენ. ლანძღავენ ქართველებს: მაგათთანა ზარმაცი ხალხი მთელს დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებაო, ასეთი სიმდიდრე რომ სხვა ქვეყანაში იყოს, ისე მოაწყობენ საქმეს, რომ არაფერში გაჭირვება არ იგრძნოს კაცმაო. ექიმობის დროს საზრდოც კარგი უნდა გვქონდეს, თორემ ისე ტყუილ-უბრალოთ ჩაივლის ჩვენი შრომაო.

მართალიც არის!.. დგეხართ და უცქერით ყველა ამას და გული გიკვდებათ, რომ გლანძღავენ, მაგრამ ვერაფერს უპასუხებთ, რადგან თვეზის არ იყოს პირი წყლითა გაქვთ სავსე, გასამართლებელი საბუთი არაფერია.

აქ არის ახლათ დაარსებული წერა-კითხვის საზოგადოების აკაკის სახელობაზე გახსნილი უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველო კარგს, ლამაზს შენობაშია მოთავსებული, გამოწერილი არის 3—4 ქართული და რუსული გაზეთი, ისე ჟურნალიც, არის ერთი შკაფი წიგნებით. სურათები: აკაკის, ილიას და სხვა ქართველ მწერლებისაც. იქვე არის მოწყობილი პატარა სცენა, სადაც, როგორც გადმომცეს, იდგმება ზაფხულობით წარმოდგენები. მახლობლათ არის აფთიაქი, რომლის წინაც მთელი გროვა ნაგავი ყრია. ორი ვერსის მანძილზე აბანოს ახლავს სამინისტრო შკოლა. სხვა განათლებულ ქვეყნებში, რომ ასეთი სიმდიდრე და სამკურნალო წყლები იყოს, იქ ჩასვლას და იქაურობის ნახვას არაფერი აჯობებდა.

საჭიროა აწი მაინც იქნეს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული წყალტუბოსა და მის სამკურნალო წყლებზე.

**მასწავლ. ქალი.**

## დაბა-სოფელი.

**ს. წევა.** (ზემო იმერეთი). ამას წინათ ვსწერდი, თუ რა მდგომარეობაში არის ჩავარდნილი ეს სოფელი (იხ. „შრომა“ № 25): „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო“, სწორედ ასეც არის, ყურსაც არავინ იბერტყს სამკითხველოისათვის და ისე ღვთის ანაბარად არის დაყრილი წიგნები და ჟურნალ გაზეთები მეპურის დუქანში, რომლის გამგეობასაც ეწევა ახლა თვითონ მეპური. აქაური ინტელიგენცია, როგორც მღვდელი, ისე ერიც, რაღაც სადათას ძილს მისცემიან და ეს მეპურე ისეთ გავლენას ახდენს, რომ ლამის არის ყველა მეპურეთ გადააქციოს და კულტურულ დაწესებულებას კი ბოლო მოუღოს. თვით გამგე ზემო აღნიშნული სამკითხველოისა (ადგ. მასწ. ბ. გ-ძე). კი ისე მოუჯადოებია ამ მეპურეს, რომ ლამის არის სიზარმაცის მორევში გაითქვიფოს ისე, როგორც საპონი წყალში; უნდა ვსთქვა სისწორით, რომ ამდენხანს სამკითხველო ნელ-ნელა ლაფავდა სულს და ახლა კი სულ გაქრება, თუ არავინ მიაქცია ყურადღება და არ გამოუჩნდა გულ-შემატკივარი. არც ერთს ჟურნალ-გაზეთს სამკითხველო არ ღებულობს.

ამას წინათ აქ მოვიდა ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მასწ. ი. გ. გაჩეჩილაძე და შესწირა სამკითხველოისათვის ერთი გაზეთისა და ჟურნალის გამოწერა თავის ხარჯით, მაგრამ გამგემ ბ-ნ ბ. გ-ძემ მადლობის ნიშნად, მასხარადაც აიღო მთელი აქაური ინტელიგენცია.

ბ-ნი გ-ძე ხომ სამუდამოთ აბოლოვებს სამკითხველოს არსებობის საქმეს, მაგრამ ვნახოთ რა ნაყოფს მოუტანს მას ახლად დანიშნული მასწ. ვლ. ჯ—ლი და რამდენად შესტკივა გული ხალხის სწავლა-განათლებისათვის.

აქ არსებობს ორ-კომპლექტიანი სამრევლო სკოლა, სადაც მასწავლებლად ირიცხებიან ზემოხსენებულნი გ—ძე და ჯ—ლი. შენობა სკოლისა არის ორ სართულიანი. ერთ მადგანს გ—ძეს ჰყავს ჩაბარებული I და IV განყ., ხოლო, მეორეს კი II და III განყ., საჭიროდ ვრაცხ გავაცნო მკითხველ საზოგადოებას ამ სკოლის გარემოება, თუ როგორ ეპყრობა თითოეული მათგანი თავის საქმეს და ასრულებენ თუ არა მას დანიშნულებისამებრ. ავსწერ რამდენადაც კი ეს შესაძლოა; მეცადინეობის დროს რომ შეხვდეთ ბ. გ—ძესთან სკოლაში თვალ წინ გადაგეშლებათ შემდეგი სურათი: თვითონ მასწავლებელი ზის პარტაზე მოწაფეებს შორის და ბოლთასა სცემს, ბავშვები კი ერთმანეთს ზურგზე აჯდებიან, ზოგი იმღერის, რამოდენიმე ჰიდაობს, ზოგიერთები ერთი პარტადან მეორეზე ხტება და ზოგიც კი ისეთ სიტყვებს ეუბნებიან ერთმანეთს, რომ იმის თქმაზე ყურებში უნდა გქონდეს თითები დაცმული. ასეთია წეს-რიგის (დისციპლინა) დაცვა მის, გაჩეჩილაძისაგან, თავის სკოლაში. მეორე მასწ. ვლ. ჯ—ლი ახალი დანიშნულია ამ სკოლაში და უნდა ვსთქვა, რომ ჯერ ენერგიულათ ჰკიდია თავის საქმეს, მაგრამ ვაი თუ ისე დაგვემართოს, როგორც გვეუბნება აქრიული ანდაზა: „ახალი ცოცხი მოცოცხავს ძველი მოატანს ქვიშასო“. რაც შეიძლება წეს-რიგს იცავს თავის სკოლაში, მაგრამ ქართული ანდაზაა: „შეჩვეული ჭირი სჯობიან შეუჩვეველს ლხინსო“, წინა მოადგილის მასწ ქალისგან განებრივებულს ბავშვებს ისე აქვთ შეთვისებული წინანდელი [...]ულება, რომ ძალიან ენერგიული [...] უნდა, რომ მოსწავლე[...] [...] გზაზე დააყენოს.

კარტ ლოტოს თამაში კიდევ არ[...] აქ ბოლო და ოფლით ნაშოვნ ორ გ[...] მასში ფლანგვენ.

დრო არის შეიგნონ და დაადგენ [...]მარიტ გზას.

**მაყურ ბელი[...]**

## სახალხო უნივერსიტეტი

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობი[...] რთა წინადადებით სამშაბათს, 26 მაის[...] საზოგადოების წევრათ ჩაეწერა კიდევ [...] დეგი 24 პირი.

ფილიპე ფილიპოვი, ნიკიფორე ჯ[...] სამსონ გეგეჭკორი, ედუარდ სააკაშვი[...] სონ ჭელიძე, პეტრე ყვანია, პავლე ჩხე[...] ალექსი მურღულია, ავქსენტი კვარაცხელ[...] ბენიამინე ელიგულაშვილი, არონ ელიგულ[...]შვილი, ივანე ენუქიძე, რომანოზ მახარა[...] ალექსანდრე ხედაშელი, შიმშონ იაკობაშვი[...] ილარიონ ხაზარაძე, შავთა[...] რიყიანიშვილ[...] ლომ რიყიანიშვილი, ალექსანდრე რაფაელ[...]დი, ალექსანდრე კოსტავა, მიხეილ მ[...]ნოვი, ალექსანდრე ცინცაძე, თეოფილე [...] შელიეშვილი და ალექსანდრე ბეშკინაძე.

**გამგეობა[...]**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

თქვენს პატივცემულ გაზ. „სამშობლოს“ [...] ნუმერში დაიბეჭდა ჩემი კორესპონდენცია, [...] მელშიც, სხვათა შორის, ვამბობდი: „ირა[...] ბარამიძემ გასტეხა ჯონჯუათში წისქვილ[...] გაიტანა რვა ფუთი ფქვილი, მას ქურდო[...] მოუსწრეს და დაიჭირეს“-მეთქი. როგორც გა[...]ირკვა, ბარამიძეს უნახავს მოპარული ფქვილი სხვებისათვის დაუძახნია ასე რომ, ბარამიძე სრ[...]ლიად მართალი ყოფილა ამ საქმეში. მე კი ზ[...]გიერთებმა, რომლებსაც ვენდობოდი, შეცდომ[...] შემიყვანეს.

**ქ. მბრ—ძე.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე.**

დაიბეჭდა და იყიდება **ქ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

**ფასი ყდით 2 აბაზი.**

თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**

**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიამ დაბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა**

**„Цѣлебные минеральные источники въ Кутаисской губер.“** ц. 20 к. კ. მაჭავარიანისა.

იბეჭდება და მალე გამოვა ქართული ენის სახელმძღვანელო **„კაზმულ სიტყვიერებითი ქრისტომატია: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“**, შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. იქვე იყიდება ყოველნაირი ქართული და რუსული ენის სახელმძღვანელონი, საყმაწვილო წიგნები, ახალი რუსული და ქართული ლიტერატურული ნაწარმოები, გეოგრაფიული ატლასები, კარტები და ყოველნაირი საკანცელარიო ნივთები.

თ. მ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

**კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში**

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოვე[...] გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტუ[...] პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— **კატალოგები უფასოთ** —

## ნუნისის სამკურნალო ბუნებით თბილ[...]

**აბანო.** აბანო ნუნისი, ანუ მუნისი, რომელიც[...] უმჩნევია ხალხს, უხსოვარი დროიდან, გორც მუნისაგან განმკურნავი უებრაი საშუალება, ჰკურნავს განსა[...]ლად ყოველნაირ კანის ავადმყოფობას და მასთან დიდ საშუა[...] აძლევს ავადმყოფს სხვადასხვა სენის წინააღმდეგ. მდებარეობს [...]ნის მაზრაში, მოლითის სადგურიდან 6 ვერსის მანძილზე, მაღ[...] ნამენარში. სეზონი იწყება 15 მაისიდან და გრძელდება 1-ს ოქტომბ[...]

თ.